# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №Ი – 611

ქ. თბილისი „18" 12 2009 წ.

### საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ „კოდა-თეთრიწყაროს საავტომობილო გზის კმ9-კმ10 მონაკვეთის რეაბილიტაცია და კმ10-ზე ასურეთის ხევზე სახიდე გადასასვლელის მოწყობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე" ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ კ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №105; 17.12..09წ „კოდა-თეთრიწყაროს საავტომობილო გზის კმ9-კმ10 მონაკვეთის რეაბილიტაციისა და კმ10-ზე ასურეთის ხევზე სახიდე გადასასვლელის მოწყობაზე.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება.
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №105; 17.12..09წ და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.*

გოჩა მამაცაშვილი
მინისტრის პირველი მოადგილე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

*ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს.*